# ჩემი სირიელი თარჯიმანი მაჰმუდი

## რატი მუჯირი

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

***სირია, ალეპოს გარეუბანი, 2012 წლის 16 ივნისი***

– მამაჩემი უფრო მაგარია! – ადელი, 5 წლის, სირიელი

– არა, მამაჩემი, გუშინ სამი პური მომიტანა! – უცნობი სირიელი ბავშვი

– ახლა დედაჩემთან ერთად მოვა და ნახავ, რამდენ პურს მოიტანს! – ადელი, 5 წლის, სირიელი

***სირია, ალეპოს ცენტრი, 2012 წლის 16 ივნისი***

„მორიგი დაბომბვა, რომელმაც ცენტრში დარჩენილი რამდენიმე მთელი შენობაც დაანგრია. ამ დრომდე ცნობილი არ არის, ასადის მომხრეების ცეცხლის შედეგია თუ მეამბოხეების. დაიღუპა ჩვიდმეტი ადამიანი: სამი ქალი, მათ შორის შადია, ერთი ბავშვი, დანარჩენი – ზრდასრული მამაკაცები.“

***სირია, ალეპოს გარეუბანი, 2012 წლის 16 ივნისი***

– ადელ, ამოდი სახლში, შენი მშობლები იგვიანებენ, ალაჰმა იცის, როდის მოვლენ, ალბათ ისევ ვერაფერი იშოვეს, – ადელის (5 წლის სირიელის) ბებია

*საქართველო, თბილისი, 2013 წლის 28 აგვისტო*

ობამამ – ქიმიური იარაღის გამოყენება დაუსჯელად ვერ დარჩებაო. გაემზადე, სირიაში მიდიხარ, მგონი, მაინც დაიწ-ყებენ. არადა, ხომ ამბობდი, შენსას მაინც მიაღწიე...

არა, არა... რა დამასკოში, სადმე თურქეთში, საზღვართან მოძებნე ყველაზე ახლო წერტილი...

*საქართველო, თბილისი, 2013 წლის 29 აგვისტო*

– ესე იგი სტამბოლში და მერე გაზიანთეფში?

– ჰო, და იქიდან მანქანით.

– დრო რამდენი უნდა?

– ზუსტად არ ვიცი, გააჩნია, სად წავალთ – პროვინციის რომელ მხარეს. ამაღამ ალბათ ვერაფერს გადავიღებთ, მთავარია, დავბინავდეთ.

– და ვაფშე რა უნდა გადავიღოთ, სირიაშია ომი, თურ-ქეთში ხო არა?

– რა ვიცი, დევნილების ბანაკებია, იქნებ საზღვარზეც გადავიდეთ... მოკლედ, ვნახოთ, რამეს ვიზამთ...

მე და ოპერატორი ზაზა თბილისის აეროპორტში ვსხედ-ვართ და მივლინების დაგეგმვას ვცდილობთ. უკვე ორ წელზე მეტია, რაც სირიაში ომია. „არაბული გაზაფხუ-ლის“ ტალღამ მალევე მიაღწია სირიამდე, მაგრამ ყველაზე ხანგრძლივი აღმოჩნდა. ან ასადი გამოდგა სხვა დიქტატო-რებზე გამძლე და მომზადებული, ან ასადის მოწინააღმ-დეგე ამბოხებულები – გაცილებით სუსტები. ანდა, უბრა-ლოდ, მსოფლიომ დაიკიდა და საერთაშორისო საზოგადოება

საკუთარ პრობლემებში ჩაიკეტა. მოკლედ, ფაქტი ერთია, ეს ხალხი ერთმანეთს ხოცავს. უკვე ქიმიური იარაღიც გამოიყენეს. ახლა სირიაში გადასვლა, მით უმეტეს თურქეთიდან, არასერიოზულია. ფულიც კი ვერ ჭრის – ყოველთვის აღმოჩნდება ვინმე, ვინც მეტს გადაიხდის და შენც გაგყიდიან. რამდენიმე საათში გაზიანთეფში ვიქნები. მერე მანქანა და...

უკვე გაფრენის დროა და კიდევ ვერ გადამიწყვეტია, კილისში ჩავიდე თუ ჯირველღოზუში. ფრენისას ვიფიქრებ.

ჯირველღოზუ უფრო შორს არის გაზიანთეფიდან. იქ, საზღვართან, სირიული სოფლებიც უფრო ახლოსაა. თურქული სამხედრო ბაზაც მაგ მხარესაა. ესე იგი უსაფრთხოების ზომებიც უფრო გამკაცრებული იქნება. დევნილთა ბანაკებიც დიდია. კილისი ახლოსაა, სირიული დასახლებული პუნქტი – შორს, დევნილთა ბანაკებიც შედარებით მცირეა. მაგრამ ამ ბანაკების გადაღებას თურქეთის ხელისუფლების ნებართვა სჭირდება. რომ ჩავალ, პარასკევი გათენდება. ეგენი ერთ დღეში არ მომცემენ ნებართვას. და საერთოდ, მომცემენ რო?! ვააჰ, რა გინდა, რომ ქნა... სად წავიდე?!

### *თურქეთი, გაზიანთეფი, 2013 წელი 29 აგვისტო*

გაზიანთეფის აეროპორტში ბარგის ლოდინში კოლეგები გავიცანი.

– გამარჯობა, საზღვარზე მიდიხართ გადასაღებად?

– დიახ...

– მე თქვენი კოლეგა ვარ საქართველოდან, თქვენ საიდან ხართ?

– სასიამოვნოა, საფრანგეთიდან.

– ჩემთვისაც. საით გადაწყვიტეთ, კილისში თუ ჯირველ-ლოზუში?

– გარეთ რომ გავალ, ტაქსიში უნდა ჩავჯდე და ჯერ ვერ გადამიწყვეტია. თქვენ რას აპირებთ?

აქ სიცილი ამიტყდა. ავუხსენი, მეც თქვენს მდგომარეობაში ვარ-მეთქი. ფრანგიც ჩემსავით ფიქრობდა და ზუსტად ჩემნაირი არგუმენტები ჰქონდა: ნებართვა და გასავლელი მანძილი. მოკლედ, გადავწყვიტეთ, კილისში წავიდეთ. თუ ნებართვას ვერ მივიღებთ ერთ დღეში, საზღვარს მაინც გადავიღებთ. გზაც მოკლეა. მალე ჩავალთ და ვითარებაში გასარკვევად მეტი დრო დაგვრჩება. ერთი განსხვავებით – ფრანგის თარჯიმანი გაზიანთეფში ცხოვრობს და ამ ღამეს აქ რჩება, მე პირდაპირ კილისში მივდივარ, თარჯიმანი არ მყავს, იქნებ იქვე ვიპოვო.

# ტაქსის მძღოლი მესუთი

– სალამ...

– მეჰრაბა...

– ნასილ სინ...

და აქ უკვე ჩემთვის გაუგებარ სიტყვებს ამბობს.

სადაც ჩადიხარ, თუ იქაურ ენაზე ელაპარაკები, თუნდაც გაუმართავად და დამახინჯებულად, რატომღაც მაშინვე კეთილგანწყობილები ხდებიან. ჰოდა, მეც ვცადე ჩემი ძალიან მწირი თურქულით (რომელიც მისალმებით და „როგორ ბრძანდების“ კითხვით შემოიფარგლება) დამეწყო ურთიერთობა. მოკლედ, ,,კარგად ვარ, თქვენ როგორ იფრინეთოს“ კითხვას რომ მორჩა, იმწამსვე აღმოაჩინა, რომ თურქულის არაფერი გამეგებოდა, ამოიოხრა და 21-ე საუკუნის ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევა, „ჭკვიანი“ ტელეფონი ამოიღო ჯიბიდან. თურქულად რაღაც თქვა და ეკრანზე ინგლისურად დაიწერა. ასე გავაგრძელეთ ურთიერთობა და კილისში წასვლაზე შევთანხმდით.

ტაქსისტები საოცარი ხალხია. ყველგან, სადაც კი ვყოფილვარ, ყველა ტაქსისტმა ყველაფერი იცის. პირველ ინფორმაციას (თუ ინტერნეტით წინასწარ მოძიებულს არ ჩავთვლით) ტრადიციულად სწორედ მათგან ვიგებ. ყვე-

ლა ჭორი იციან, პოლიტიკაშიც ერკვევიან, თავისებურად, მაგრამ მაინც. ყოველთვის აქვთ არგუმენტები, რატომ უნდა აკრიტიკონ მოქმედი ხელისუფლება, რატომ იყო ყოფილი ხელისუფლება ცუდი, მაგრამ მოქმედზე უკეთესი და რატომ იქნება მოქმედი ოპოზიცია ყველაზე კარგი ხელისუფლება, ვიდრე ოდესმე ყოფილა. მაგრამ ახლა მე თურქეთის ამბები არ მაინტერესებს, სირიაა მთავარი. უფრო სწორი იქნება, თუ მესუთისგან თურქეთ-სირიის საზღვრის და იქაური ამბების გაგებას ვეცდები. ტელეფონი მომაწოდე-მეთქი ვანიშნებ და ვიწყებთ ტელეფონ-თარჯიმნით ურთიერთობას:

– რა ხდება საზღვარზე?

– სირიელები მოდიან, არ ჩერდებიან. ბანაკებში ადგილი აღარ არის და პირდაპირ ქუჩებში ათევენ ღამეს.

– ქალაქში (კილისში) ჩამოდიან თუ სად არიან?

– კილისშიც, მაგრამ ძირითადად იქვე, საზღვარზე რჩებიან...

– და სახიფათოა კილისში? რამდენად ახლოსაა საზღვართან სირიის სოფლები?

– ახლოსაა, მაგრამ არა მგონია, რამე საფრთხე იყოს აქეთ. ერდოღანმა უკვე ძალიან ბევრი მილიონი დახარჯა ამ სირიელ დევნილებზე, ჩვენ კიდე ხელფასებს არ გვიზრდის. ეს სირიელები მაინც უკმაყოფილოები არიან, ბანაკებში რატომ არ გვიშვებენო! არ არის ადგილები და რა ვქნათ?! კილისი, ფაქტობრივად, გასირიელებულია. ძალიან ბევრი სირიელი დასახლდა ამ ქალაქში. ბევრიც მუშაობს, კარგად მოეწყვნენ.

– რას ამბობ, როგორ მოეწყვნენ კარგად, სირიაში ომია და იძულებულები არიან, რომ აქ იყვნენ, არა?

– რა ვიცი, რა ურჩევნიათ, მე ის ვიცი, რომ ჩვენს ქალაქებში ცხოვრობენ და მუშაობენ.

– შენ რას ფიქრობ, რა მოხდება?

– რა ვიცი, ამ ერდოღანს თავში რა აქვს. ალბათ მარტო ალაჰმა უწყის. პირადად მე ხელს მაძლევს ასეთი მდგომარეობა. იცი, უკვე რამდენი ჟურნალისტი ჩამოდის? მარტო დღეს მესამე ხარ, ვინც კილისში მიმყავს, ალაჰს სთხოვე, სასტუმროში ადგილი დაგხვდეს, კარგი სასტუმრო მარტო ერთია, სხვა სასტუმროები საშინელებაა.

– მართლა? რა უნდა ვქნათ, თუ ადგილი არ დაგვხვდა?

– ვიპოვით, არ ინერვიულო, თუ არადა, გაზიანთეფში დავბრუნდებით და დილით ისევ კილისში ჩავალთ. აი, გამომართვი, აქ ჩემი ნომერი წერია. თუ დაგჭირდი, დამირეკე.

საინტერესო პერსპექტივაა, ჩავიდე კილისში, ადგილი არ დამხვდეს, წამოვიდე უკან გაზიანთეფში, დილით ისევ კილისში, უფფ, რა ჯობს ამ ყველაფერს?! მერე მასალა როგორ მივცე ხვალ დილის გამოშვებაში? რა უნდა იყოს, ტყეში დამიძინია და კარავში. რამეს ვიპოვი, აუცილებლად ვიზამ რამეს!

და მაინც, რატომ მოსწონთ ადამიანებს, როცა თავიანთ მშობლიურ ენაზე ელაპარაკებიან? არა, „ელაპარაკებიან“ აშკარად გადაჭარბებულია. არის შემთხვევები, როცა ამბობ რამეს უცხო ენაზე, მაგრამ ძირითადად ამახინჯებ. მე, მაგალითად, ინგლისურად გამართულად ვლაპარაკობ, მაგრამ, სხვაგან რომ ჩავდივარ, იქაურ მისალმებას ვსწავლობ, რამდენიმე სიტყვას, დამტვრეულად, ენობრივად გაუმართავად. მეც ხომ მიგრძნია, რომ მომწონს, როცა უცხოელი ქართულად ლაპარაკს ცდილობს. არ ჯობია, შენს მშობლიურ ენაზე მელაპარაკო და ვინმემ გადამითარგმნოს, ვიდრე ენა დამიმახინჯო, შეცდომები დაუშვა და შენც ენა მოიტეხო?!

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, როცა მესუთმა დაამუხრუჭა. ფანჯარაში გავიხედე. აშკარად სადღაც ტრასაზე ვართ.

– პრობლემს?

– ნოუ პრობლემ, ჟანდარმ...

პოლიციამ გაგვაჩერა. ამათ რაღა უნდათ?! იმართება ხანმოკლე თურქული დიალოგი და მესმის: „გურჯისტან“, „გაზეტჯი“... აშკარად ჩვენზეა ლაპარაკი. პოლიციელმა თავის მეწყვილეს რაღაც გასძახა და ის ჩემკენ დაიძრა. მე საბუთების გამზადება დავიწყე. ფანჯარასთან მოვიდა, მომესალმა და საბუთები მომთხოვა. ვუჩვენე. ჩემს დოკუმენტებს ქართული და ინგლისური წარწერები აქვს. უყურებს, ათვალიერებს... წარმოდგენა არა მაქვს, ამ დროს სამართალდამცველები რას ფიქრობენ. აშკარაა, ინგლისური არ იცის, ქართული – მით უმეტეს. ეს პირველი შემთხვევა არ არის, ხშირად ხდება, როცა ასეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდები ხოლმე. პოლიციელმა დაახლოებით 7-8-წუთიანი ფიქრის შემდეგ საბუთები დამიბრუნა და დაგვემშვიდობა.

– მესუთ, ხშირად გაჩერებენ ხოლმე?

– არა... ახლა სირიის გამოა გართულებული. ბევრი პოლიციელია გამოსული და, უბრალოდ, ამოწმებენ...

„უსაფრთხოების ნორმები გამკაცრებულია“, – თამამად შემიძლია, ასე დავიწყო ხვალინდელი ჩართვა, სხვა თუ არაფერი გამოჩნდა საინტერესო. ავტობანი განათებულია, აქაურობას არაფერი ეტყობა, რომ კონფლიქტის ზონაში ვართ. დამუხრუჭება მაღვიძებს. ჩამძინებია. წითელი შუქი თვალს მჭრის. „თურქჰოტელ“.

– გამარჯობა, თავისუფალი ადგილები გაქვთ?

– როდის გინდათ?

– ახლა.

– რამდენი ხნით?

– სანამ სირიაში ომი არ დაიწყება, – ხუმრობას ვცდილობ.

– ომი იქ ორი წლის წინ დაიწყო...

– უკაცრავად, ცუდად გამომივიდა, სანამ ამერიკა არ

დაარტყამს ვიგულისხმე, – რაებს ვბოდავ, ვითომ გამოვასწორე?! – მოკლედ, დაახლოებით ერთი კვირით, შეიძლება მეტითაც, ჯერ ზუსტად არ ვიცი.

– არა აქვს მნიშვნელობა, დღეს ადგილი არ მაქვს, არც უახლოეს რამდენიმე დღეში მექნება.

ასე დავამთავრე „თურქჰოტელის“ ადმინისტრატორთან საუბარი. სასტუმროდან გამოსულს მესუთი მეუბნება, ის კაცი სირიელია, კილისში ორი წლის წინ ჩამოვიდა, მაშინ, როცა პირველი შეიარაღებული დაპირისპირების დროს მშობლები დაეხოცა, ცოლი არ ჰყავდა, არც ვინმე, ვის გამოც გარისკავდა და ამიტომ თურქეთში გადმოვიდა, ამავე სასტუმროში ცხოვრობს და არაბული, თურქული და ინგლისური იცისო.

– აქაურმა თურქებმა ინგლისური ცუდად ვიცით, არაბულიც ცოტამ იცის. ამიტომ თურქი ადმინისტრატორი ადვილად გაცვალა მეპატრონემ ამ სირიელში. თან ნაკლებს უხდის. ეს ჩამოსულები ყველაფერზე თანახმა არიან, ოღონდ თავი ირჩინონ, – მიხსნის მესუთი.

„ნეტა მართლა არ ჰქონდა ადგილი, თუ ჩემი უადგილო ხუმრობა ეწყინა? – ეს აზრი ამეკვიატა მას შემდეგ, რაც მესუთმა მითხრა, ადმინისტრატორი სირიელიაო, – მაგრამ ის ხომ დასაქმებულია, კლიენტს ხელიდან არ გაუშვებდა, – ალბათ თავს ვიმშვიდებ, – იქნებ ეწყინა? არა, მე მეწყინებოდა იმის ადგილზე, არაა, შანსი არ არის, ამის ქვეყანაში ომია, ძლივს სამსახური უშოვია, რა პატრიოტიზმი, ადგილი რომ ჰქონოდა, არ გამომიშვებდა. წარმოგიდგენია, რა დაემართება, როცა მეპატრონე გაიგებს, რომ რაღაც უაზრო ხუმრობისთვის კლიენტი დაკარგა. მოიცა, საიდან გაიგებს მეპატრონე...“ – ვერაფრით ვივიწყებ სამწუთიან ურთიერთობას სირიელ ადმინისტრატორთან...

– მისტერ, მისტერ! – ფიქრებიდან გამოვყავარ. მანიშნებს,

მანქანაში ჩაჯექიო, – სხვა სასტუმრო, – მეუბნება მესუთი და მანქანაში ვჯდები. კილისი ძალიან უცნაური ქალაქია. შუაღამეა, ქუჩები განათებულია და კარგად ჩანს, რომ აქაურობა ნაგავს მიაქვს. შენობები ნახევრად დანგრეულია სიძველისგან. ქუჩებში მანქანები დადიან, უფრო მეტად – მოპედები. არადა, შუაღამეა.

– საზღვარი შორს არის აქედან?

– არა, 10 წუთია მანქანით. 10 წუთი – ახლა, დღისით მეტი მანქანაა, 20-25 წუთი დასჭირდება.

– და იქ რომ წავიდეთ ახლა?

– წავიდეთ, მაგრამ იქ სირიელ დევნილებთან ღია ცის ქვეშ თუ დარჩები, თორემ იქ სხვა თავშესაფარი არ არის. აი, მოვედით.

ოტელი „პარიზ“. ჰმ, პარიზი... არადა, ამ შენობას არაფერი ეტყობა იმისა, რომ აქ სასტუმროა. მესუთი თავის აქნევით მიჩვენებს, რომ მეორე სართულზე უნდა ავიდეთ. ვიწრო შესასვლელია, მოკლე და მაღალი კიბე. ავედით. მოუწესრიგებლობა გარედანვე ეტყობოდა შენობას. კიბის უჯრედში ვითარება დამძიმდა. უკვე უსიამოვნო სუნი მცემს. ვხვდები, რომ აქ ვერ დავრჩები. ჰოლში შევდივართ. თვალში პირველად ტახტი მხვდება. ხუთი ახალგაზრდა ზის, ჩაის სვამენ, ტელევიზორს უყურებენ, რაღაც თურქული საინფორმაციო არხია ჩართული, სირიის ამბებს გადმოსცემენ. მესუთი ადმინისტრატორს ელაპარაკება თურქულად. ადმინისტრატორი ჩემკენ მოდის და დამტვრეული ინგლისურით იწყებს:

– გამარჯობა, მეს სასტუმროში ადგილები არის.

– გაგიმარჯოს. ვაი-ფაი არის აქ? – იმედი მაქვს, რომ არ ექნება, აქ დარჩენა არ მინდა.

– რა თქმა უნდა, – როუტერისკენ გაიხედა.

– და ოთახებში რა ხდება, შეგიძლიათ, დამათვალიერებინოთ?

– კი, რა თქმა უნდა.

საშინელება ტრიალებს. არ ვიცი, როგორ აღვწერო სუნი, რომელიც აქ დგას – ნაგვის, შმორის, ნესტის, სიგარეტის კვამლის. მოკლედ, გარშემო საშინელი სიბინძურეა.

– აი, ეს არის ოთახი, ორი კომფორტი ლოგინი.

– და აბაზანა, – გამიხარდა. მიზეზი მაქვს, რომ უარი ვუთხრა, აბაზანას ვერ ვხედავ.

– აბაზანა, ოთახი გარეთ, მარჯვნივ, მარტო ამ სართული.

– არაა, ვერ დავრჩები. აბაზანა აუცილებლად დამჭირდება...

რატომ ვეძებდი მიზეზს? რა პრობლემა იყო, მეთქვა უარი, ჩემი რა მიდიოდა. მაგრამ, მგონი, ჩემს თავს ვუსაბუთებდი. ალტერნატივა, რომელსაც მესუთი მთავაზობდა იმ კონკრეტულ მომენტში ერთადერთი იყო: „თურქჰოტელი“, რომელშიც პირველად მიმიყვანა, ერთადერთი ნორმალური სასტუმროა და იქ ადგილი არ იყო (ან მე არ მომცეს – ისევ ეჭვი არ მასვენებს), სასტუმრო „პარიზი“, რომელში დარჩენასაც ქუჩაში ძილი სჯობს, ან უკან, გაზიანთეფში დაბრუნება, იმისათვის, რომ ხვალ ისევ აქ ჩამოვიდე, საზღვარზე წავიდე და ვიმუშაო. დიდი ვერაფერი არჩევანია. მით უმეტეს, რომ უკვე ღამის 2 საათია. ამიტომ, ალბათ, საკუთარ თავს ვუსაბუთებ, რომ ამ „პარიზში“ არ დავრჩე.

– არის აქ რამე სხვა სასტუმრო?

– რატომ, მისტერ, მე სასტუმრო არ მოეწონა?

– იცით, აბაზანა რომ არაა...

– აბაზანა არის, აი, აქ...

– არა, თქვენ ვერ გამიგეთ, მე მჭირდება აბაზანა ნომერში, აქ სამუშაოდ ვარ ჩამოსული, არ ვიცი, როდის გავალ, რო-

დის შემოვალ, აქ ძალიან ცხელა და ამიტომ აბაზანა აუცილებლად ნომერში მჭირდება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, წვერის გაპარსვა დამჭირდება ყოველდღე.

– დიახ, დიახ, აბაზანა, აი აქ არის, ამ სართული...

აშკარად არ ესმის, რას ვეუბნები...

– შენ ვინ ხარ?! – ლაპარაკს მაწყვეტინებს ხმა საიდანღაც.

მივიხედ-მოვიხედე, მერე ზემოთ ავიხედე და უცნაური ვინმე დავინახე. შავგვრემანი, ძალიან ხუჭუჭა თმით, წელს ზემოთ შიშველი, ბანჯგვლიანი, მწვანეთვალებიანი, რაღაცნაირად მოღიმარი სახე. სასტუმრო ძალიან არასტანდარტული იყო. ჰოლში ორი სართულის შიდა ფანჯრები შემოდიოდა. იმ ფანჯრებიდან, რაღაც მყრალი ოდეკოლონების არომატიც იფრქვეოდა და ეს ყველაფერი, ჭუჭყის სუნში არეული, ერთ დიდ აუტანელ რეალობას ქმნიდა. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ფანჯრიდან იყურებოდა ეს ხუჭუჭი.

– მე ჟურნალისტი ვარ საქართველოდან, შენ თვითონ ვინ ხარ?

– მე მაჰმუდ დაბაღი ვარ, რა პრობლემა გაქვს?

– ვა, ინგლისურადაც ლაპარაკობ და გესმის... რა მაგარია! აუხსენი რა ამას, რომ სასტუმრო მინდა, სადაც ნომერში აბაზანა მექნება.

– მეხუმრები?! შენ გინდა, რომ სასტუმროს ადმინისტრატორმა სხვა სასტუმროს მისამართი გითხრას?

– ჰო, რა პრობლემაა, აბაზანა მჭირდება, – რას გადავეკიდე ამ აბაზანას, ადექი და წადი რა, მესუთს სთხოვე, სხვა რამე მოგიძებნოს. არა... ის უკან, გაზიანთეფში დაბრუნებას გირჩევს.

– მომისმინე, აქვე სასტუმრო „ისტანბულია“, ადრე იქ ვცხოვრობდი. მანქანა გყავს თუ გაუშვი?

– არა, უკან რომ დგას, ისაა მძღოლი, – თვალით ვანიშნებ.

მაჰმუდს ინგლისურად ველაპარაკები, მესუთს, ვიცი, რომ არ ესმის. სასტუმრო „პარიზის“ ადმინისტრატორს რაღაცეები ესმის, რაღაცეები – აშკარად არა.

– ძალიან კარგი, – გაიხედა მაჰმუდმა მესუთისკენ და თურქულად რაღაც უთხრა, – წაყევი, „ისტანბულში“ მიგიყვანს. თუ ალაჰი ინებებს, ადგილი ექნებათ. ისე, რას აპირებ, რატომ ხარ ჩამოსული?

– სირიის საზღვარზე მინდა გადაღება, დევნილები, ამბავი, იქნებ იქითაც გადავიდე...

ამ დროს მაჰმუდს სიცილი აუტყდა.

– სად უნდა გადახვიდე, სირიაში? სიკვდილი გინდა?!

– შენ მაგაზე ნუ იდარდებ...

– თარჯიმანი გყავს? იცი, სად არის საზღვარი? სად არიან დევნილები?

– ვიცი, აბა რა! – ვატყუებ მაჰმუდს და იმედი მაქვს, რომ მესუთი დამაკვალიანებს, მაგრამ მარტო ჭკვიანი ტელეფონის იმედზე ყოფნაც არ მინდა, – ოღონდ თარჯიმანი ჯერ არ მყავს...

– მე შემიძლია დაგეხმარო, – სიტყვა არ მქონდა დამთავრებული, მაჰმუდმა თანამშრომლობა რომ შემომთავაზა, – ეგ ტაქსისტი, არ შეხედო, ვინაა, საიდან მოყავხარ?

– გაზიანთეფში, აეროპორტში ჩავუჯექი.

– ჰოდა, „ისტანბულში“ რომ მიგიყვანს, გაუშვი, ხვალ მოდი ჩემთან და მე დაგეხმარები.

– და შენ ვინ ხარ, იცი, სად რა ხდება?

– მე? ხომ გითხარი, მაჰმუდ დაბაღი ვარ, სირიელი, აქ შარშან ჩამოვედი. დამიჯერე, დაგეხმარები...

– კაი, რამდენი გინდა მაგ დახმარებაში?

– ფული არაა პრობლემა, მოვრიგდებით...

– კაი რა, არ გინდა ახლა ეგეთი ლაპარაკი, რამდენი გინდა?